# ქუჯი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

გაზეთის გამოსვლის დღე – ოთხშაბათი

№8, 2001წ. ფასი 40 თეთრი


საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

## ვინ უერთგულა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს?

გვ. 2

## სასიკვდილო ის არის, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა... გავუძლოთ მარტვილობას, ჯვარცმას და გოლგოთას, ივერიას გაბრწყინდება მალე!

გვ. 5

კოჯნია სოფელია ოდიში. ზუგდიდ-წალენჯიხის გზაზე, ოდიშის დასაწყისში, სერზე პატარა სასაფლაოა. გამვლელი მძღოლები აუცილებლად სიგნალს მისცემენ, ქვეითნი ქუდს მოიხდიან, ეს პატივის მიგება ეროვნული ხელისუფლების ჯარისკაცებს ვაწინძეებს ეკუთვნის უპირველესად...

გვ. 6

ზვიადმა არ იკადრა, რომ მოხუცი კაცისათვის წაერთმია ქონება. მე დანამდვილებით ვიცი, რომ ინაური ბათიაშვილს სთხოვდა, მოხუცი ვარ და დამაცადეთ, ეს აგარაკი გამოვიყენოო, მაგრამ არავინ მოუსმინა. ქვაბები და სხვა ნივთები აივნიდან ცვიოდა.

გვ. 3



## ჩვენი რწმენა

სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია; შრომა ხორცისთვის საქმარია, სულისთვის ცხოვნება; მორჩილება ღვთისადმი გზაა გადარჩენისათვის

გვ. 6

## მრუდე სარკე და სინამდვილე

რა სახელი შეიძლება დაერქვას პარლამენტის მორიგ უმცირესობას?

გვ. 5

## სპორტი

ჩვენმა ლომკაცებმა დაივიწყეს ყოველგვარი სიამოვნება და რუსი «დათვები» საკუთარ «ბუნაგში გაგუდეს»

გვ. 5

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ რეფერენდუმის 10 წლისთავი და საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 62 წლისთავი თბილისში აღნიშნა

## 2001 წლის 31 ~~დეკემბერს~~ მარტს საქართველოს დედაქალაქში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკაში საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების 10 წლისთავისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 62 წლისადმი მიძღვნილი

# ს ხ დ ო მ ა

### პირველი განყოფილება

მანანა არჩვაძე-გამსახურდია - საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი, საქათრველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი

*ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა და რეფერენდუმი*

დავით გოგაძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოღვაწეობა 1992 წლიდან დღემდე*

დავით ტაბიძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დოცენტი

*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და დღევანდელობა*

ბიმურზა აფრასიძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დოცენტი

*რეფერენდუმის მნიშვნელობა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიების ფაქტობრივი დაბრუნების საქმეში*

რევაზ კემულარია - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე

*ზვიად გამსახურდია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აფხაზეთში*

მანანა ტაბიძე - ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

*ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი*

აკაკი მათიაშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი

*ზვიად გამსახურდიას გვარის გენეალოგიის შესახებ*

### მეორე განყოფილება

შალვა აბზიანიძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დოცენტი

*საქართველოში სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების შესახებ*

ჯემალ იონათამიშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე

*1991-93 წლების ეროვნული ტრაგედია და სოციალური კრიზისი*

ზურაბ ძოწენიძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი

*დამოუკიდებელი საქართველო და დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკა*

ლადო ცოფურაშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

*საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის შესახებ*

გურამ მაქაცარია - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

*მიწა - საქართველოს ეროვნული სიმდიდრე*

ტარიელ ფუტკარაძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი

*საქართველოში ორხელისუფლებიანობისა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის 2000 წლის 9 აპრილის მემორანდუმის შესახებ*

## 9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

ქართველი ერის ისტორიაში მრავალი სახელისუფლებო დოკუმენტი არსებობს; ბევრმა მათგანმა უკვე დაკარგა რეალური ღირებულება, ზოგი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე (მაგ., ყარსის, დაგომისის, მოსკოვის და სხვა ხელშეკრულებები). რამდენიმე კი ისეთია, რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ფასს იძენს ქართველების თუ მსოფლიო საზოგადოების თვალში. დღეს ერთ-ერთ გამორჩეულ ისტორიულ დოკუმენტს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის „აქტს" გთავაზობთ:



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ეს დოკუმენტი მომზადდა და საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმით საუკუნო იურიდიული ძალა შეიძინა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით. ამ დოკუმენტის საფუძველზე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა მთელმა მსოფლიომ; ამ დოკუმენტით 9 აპრილი - თავგანწირული ბრძოლის დღე (1989 წლის 9 აპრილი), გადააზრიანდა თავგანწირული ბრძოლისა და გამარჯვების დღედ (1991 წლის 9 აპრილი): რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აღმდგარმა ქართველობამ ამ ორ 9 აპრილს დაიწყო და დაამთავრა გადამწყვეტი ბრძოლა: ტანკებთან მებრძოლი სულით გამარჯვება და დამოუკიდებლობის გამოცხადება...

9 აპრილის გლოვის დღედ გამოცხადება უნდოდათ და უნდათ კომუნისტებს, პუტჩისტებსა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს!

26 მაისით 9 აპრილის როგორც დამოუკიდებლობის დღის დავიწყება სურთ იმპერიის სამსახურში მყოფთ!

26 მაისის დამოუკიდებლობა განადგურდა კომუნისტური იმპერიის მზაკვრობით და ქართველობამ 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა! ამ ბოლო ბრძოლის, ბოლო გამარჯვების ავტორთა თუ წინამძღოლთა როლის მიჩქმალვა სურს უკანონო ხელისუფლებას და ჩქმალავს 9 აპრილის ნამდვილ არსს.

რა თქმა უნდა, არ გამოუვათ!

9 აპრილს - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს გილოცავთ პატივცემულო მკითხველო!

და ერთიც:

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა, აგრეთვე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამორჩეულმა რამდენიმე პიროვნებამ.

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერთაგან ბევრმა თავისი შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობით - საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო საქმის კეთებით (დსთ-ზე ხმის მიცემით, რუსეთის სასარგებლო პუტჩში მონაწილეობით...) ფაქტიურად უარყო საკუთარი ხელმოწერა, ყოველ შემთხვევაში, შთამომავლობის თვალში უთუოდ გაიორა სკამს მიპყრობილი სახე... შთამომავლობა მერე უფრო და უფრო მეტი ინტერესით გაიხსენებს დამოუკიდებლობის გამომცხადებელ პირებს და უფრო მკაფიოდ იტყვის, თუ ვინ დარჩა ბოლომდე ერთგული თავისი ხელმოწერისა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე"...

**ტარიელ ფუტკარაძე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

(დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

*— ჩვენი ინტერვიუ შეწყდა მაშინ, როცა ამბობდით, რომ უშიშროების სალაროში ხუთ მანეთს რიცხავდით, რომ დაპატიმრებულ ბატონ ზვიადს რამე ეყიდა.*

— იმ ხუთ მანეთსაც ვერ იყენებდა ზვიადი, რას იყიდდა? იქ არ არსებობდა არავითარი საშუალება ყიდვისა. ხშირად პროდუქტი არც მიდიოდა ზვიადამდე... თითქმის ორი წელი გრძელდებოდა ეს პროცესი და მე ამ ორი წლის განმავლობაში ვაკითხავდი პატარა ცოტნესთან ერთად. ისეთი წამება და დამცირება მაქვს გადატანილი. ზვიად გამსახურდიამ შეუნდო, და მან გააგრძელა სამსახური იმავე თანამდებობაზე, რომელიც ადრე ეკავა. რაც შეეხება ალექსი ინაურს, იგი რამდენიმეგზის შეეცადა ჩემს დაპატიმრებას (ზვიადმა მაშინ შიმშილობა გამოაცხადა, მცირეწლოვანი ბავშვი მრჩებოდა უპატრონოდ; კარგად მახსოვს მისი განცხადება: "როდემდე უნდა გაგრძელდეს ბერია-რუხაძის მეთოდები საქართველოში" (ასეთი მაგალითები მრავლად შემიძლია მოვიყვანო), რითაც გადამარჩინა. და აი, ბოლოს ალექსი ინაურის სათაყვანებელი პიროვნება შეიქნა ზვიად გამსახურდია. მოგეხსენებათ, როდესაც სახელმწიფოში მთავრობა იცვლება, კადრები იცვლება მრავალ რგოლში. ეს ცივილიზებული წესია. ალექსი ინაურს ზვიადმა დაუტოვა ყველაფერი, რაც მას არ ეკუთვნოდა, რადგანაც ის ანტიეროვნული იყო ნამდვილად, მაგრამ ზვიადმა არ იკადრა მისთვის რისიმე ჩამორთმევა. მას დაუტოვა ის ბინა, რომელიც ადრე გამოუყო უშიშროების სამსახურმა (იმ ბინიდან იქნა ის დაკრძალული), დაუტოვა აგარაკი წყნეთში, საიდანაც მოგვიანებით, ირაკლი ბათიაშვილმა, როდესაც ის სუკის თავმჯდომარედ დანიშნეს, გამოასახლა და თავად აიღო; ზვიადმა არ იკადრა, რომ მოხუცი კაცისათვის წაერთმია ქონება. მე დანამდვილებით ვიცი, რომ ინაური ბათიაშვილს სთხოვდა, მოხუცი ვარ და დამაცადეთ, ეს აგარაკი გამოვიყენოო, მაგრამ არავინ მოუსმინა, ქვაბები და სხვა ნივთები აივნიდან ცვიოდა. ჩვენ რომ ეს გაგვეკეთებინა, როგორ ფიქრობთ, მაშინ ზვიად გამსახურდია ის იქნებოდა საქართველოსათვის, რაც დღეს არის? ძალიან ცუდ მაგალითს მისცემდა როგორც მომავალ საქართველოს, ისე საკუთარ შვილებსაც.

*— ქალბატონო მანანა, რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს, რომელიც ღარიბიც არის, სუსტიც და ჩაგრულიც, უსაზღვროდ უყვარს თავისი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მას არავის არც შეადარებს და არც არავისში გაცვლის, მაგრამ ისევ პუტჩისტებისაგან ხშირად გაიგონია - კი ბატონო, შესანიშნავი პიროვნება გახლდათ, მაგრამ იდეალისტი იყო და იდეალიზმი წამგებიანია პოლიტიკაში, რადგან მას შედეგები არ მოაქვსო. ჩვენ, ცხადია, ასე უტრირებულად არ გვესმის ეს ფრაზა, მაგრამ მაინც მინდა კითხვა ასე დავსვა: მართლა ხომ არ არის წამგებიანი ეს იდეალიზმი, რომელსაც თქვენ ახლა ასეთი სიყვარულით იგონებთ, იმდენად წამგებიანი, რომ შემდეგ სახელმწიფოს მართვაში ხელი შეუშალოს ეროვნულ ხელისუფლებას?*

— აქ არავითარ იდეალიზმთან არა გვაქვს საქმე. აქ ისმის აღზრდის საკითხი, რომელიც აკლია მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც საკითხს ასე სვამს. თუ ჩვენ გვინდა ავაშენოთ ძლიერი და წარმატებული სახელმწიფო, ან უნდა მიუტევო დამნაშავეს, ანდა აქციო სახელმწიფო დამნაშავეთა ქვეყნად. ზვიად გამსახურდიას ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული შურისძიების მავნე შედეგები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მორალური სახისათვის...

*— მაშასადამე, თქვენ ბრძანებთ, რომ ის, რაც არის მაღალი ზნეობრივი ფასეულობა, თან შესანიშნავი პოლიტიკური გათვლაც არის...*

— რასაკვირველია, ჩემი ამოსავალიც ესაა; თუ ჩვენ მაღალი ფასეულობებით არ ვიმოქმედებთ, ჩაფიქრებულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. ხოლო ამ კითხვის დამსმელთათვის ამოსავალი არის სახელმწიფოს ძარცვა, ანგარიშსწორება, რომელსაც დღეს ვხედავთ პრესით, ტელევიზიით; ნუთუ ეს სამარცხვინო არ არის საქართველოსათვის? მე მიმაჩნია, რომ ამ ათწლეულების მანძილზე თუკი რამ დაიბეჭდა პრესაში, უნდა გადაიმალოს. რადგან ადამიანი, რომელიც დანაშაულობებს ჩადის და სიკეთეში ადანაშაულებს სიკეთის მქმნელს, არასოდეს გამოსწორდება და სირცხვილად დარჩება ქვეყანას. ამგვარი ადამიანი სულიერად იმდენად მდაბიო და ვაჭარია, რომ ვერასოდეს ამაღლდება ჩვენამდე. მე ზვიად გამსახურდიას ნამდვილად არ გავუტოლებ თავს, მაგრამ ჩემთვის ზვიადის მაღალი ფასეულობები ნამდვილად გასაგებია და მისაღები.

*— ქალბატონო მანანა, უფალმა ასე ინება, რომ ბევრი ჭირის მიუხედავად, საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობისა და კანონიერად არჩეული ხელისუფლების მოქმედება და სამართლებრივი სიმტკიცე ისტორიულად არ გაწყვეტილა, მაგრამ ფაქტობრივად ჩვენ ესოდენ საშინელი ათი წელი გავიარეთ. ღვთის ნებით, თქვენ დაგეკისრათ ძალიან მძიმე მოვალეობა — ამ ძნელბედობისას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ყოფნა და თქვენი პოლიტიკური ორგანიზაციის აქტიური თანადგომით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ კანონიერი ხელისუფლების უწყვეტობის შენარჩუნება. როგორც ჩანს, თქვენს შესაძლებლობებს ხალხზე უკეთ იცნობდა მოწინააღმდეგე და თქვენს დისკრედიტაციაზე მუშაობდა ადრიდანვე. ხალხის საამაყოდ, არ აღმოჩნდა არც ერთი ხინჯი თქვენს ქალობაში, მეუღლეობაში, დედობაში და ამიტომ სცადეს მოეხსნათ სხვა ვერსია, რომ თქვენ ხასიათი გაქვთ განსაკუთრებულად მძიმე და ამ ხასიათს პოლიტიკისათვის საბედისწერო მხარეები გააჩნია. იმ ადამიანებს, ვინც თქვენთან მუშაობს ან თქვენს შორიახლოს ყოფნის შესაძლებლობა ჰქონია ამ წლების მანძილზე, კარგად მოეხსენება თქვენი ხასიათი, მაგრამ მთელი ქვეყნისათვის, როდესაც მასმედია ხშირად ძალზე ტენდენციურად წარმოაჩენს თქვენს პიროვნებას, ბევრი რამ არ არის გასაგები. გავიხსენოთ თუნდაც ყბადაღებული დღიურები, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავის დროზე.*



**ზვიად გამსახურდიასაგან შექმნეს რაღაც საშინელი, გაბოროტებული, ყველასთან დაპირისპირებული ადამიანის ხატი, მაგრამ ამ ჭორმა შემდეგ დიდი ფიასკო განიცადა, თუმცა ეს ფიასკო ჩვენი ტრაგედიის, ქართველი ერის ტრაგედიის ფასი დაჯდა**

— ამ მონაჭორ "დღიურებთან" დაკავშირებით მე მაშინვე გამოვგზავნე პროტესტი, რამდენადაც მახსოვს, "ასავალ-დასავალში" იბეჭდებოდა. მაგრამ ჩემი პროტესტი არც გამოაქვეყნეს და არც კერძო სახით არ გამცეს პასუხი მასზე. მოგვიანებითაც, ვანო პავლიაშვილმა პირობა მომცა, რომ მიუბრუნდებოდა ამ საკითხს, მაგრამ დაპირება არ შეუსრულებია. მე რამდენჯერმე გავაკეთე ზეპირი განცხადებაც ამ ცილისმწამებლური სიყალბის შესახებ...

*— თქვენი ხასიათის ამა თუ იმ თვისების განსჯას ესწრაფვის ხოლმე საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც თავის ბუნებაში სიფრთხილეს თუ სიმფრთხალეს, ან რაღაც ამგვარს ისედაც ატარებს; ეს ხალხი თქვენი პიროვნული თვისებებისადმი უნდობლობით ხსნის ხოლმე თავის ეროვნულსა და პოლიტიკურ პასიურობას. მე შევეცდები, შეძლებისდაგვარად, ძალიან ფაქიზად დავსვა რამდენიმე კითხვა: ბევრი ქმედება, რომლითაც საზოგადოების ნაწილმა თავის მიერ საქართველოში კანონიერებისა და დამოუკიდებლობის დათმობა დაუშვა, მანვე ახსნა საკადრო პოლიტიკის გამო უკმაყოფილებით. ჯერ ყოველივეს ზვიად გამსახურდიას აბრალებდნენ, მაგრამ როცა ნახეს, რომ მისთვის უბრალოდ შეუძლებელია ჩრდილის მიყენება, რადგან მას უკვე გაეცნო ერი, ამ ბრალდებებით თქვენკენ გადმოინაცვლეს და წამოაყენეს ახალი ვერსია, რომ თქვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამა თუ იმ გადაწყვეტილებას უკარნახებდით ბატონ ზვიადს, თქვენი რეკომენდაციით ინიშნებოდა სხვადასხვა შეუფერებელი პირი თანამდებობებზე. ასე განყენებულად ძნელია საუბარი, კონკრეტულად კი მახსოვს, რომ მანანა ძოძუაშვილზე იყო ხშირად ლაპარაკი. მართალია, მე მაინც ვერავინ გამაგებინა, რით იყო ძოძუაშვილი მენაღარიშვილსა და ჯორბენაძეზე უარესი, მაგრამ მაინც მაინტერესებს, ეს ყბადაღებული ძოძუაშვილი მართლა თქვენი რეკომენდაციით დაინიშნა თუ არა ჯანმრთელობის მინისტრად?*

— მე ძოძუაშვილით არ მინდოდა დამეწყო ამ შეკითხვაზე პასუხი, თუმცა მოგვიანებით მასზეც გიპასუხებთ. კომუნისტებმა განჭვრიტეს რა, რომ მათი დაღუპვა გარდაუვალი იყო, ერმა თავის რჩეულად ზვიად გამსახურდია წარმოიდგინა, რომელიც შემდგომ მართლაც პრაქტიკული განმახორციელებელი გახდა იმ საქმისა, რომელიც საქართველოს ბედს უკავშირდება, კერძოდ, ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტების მიღებას, რაც აქამდე საქრთველოში არავის ჩაუტარებია. მაგრამ გავიხსენოთ თუნდაც 1989 წელი, 9 აპრილი, 9 აპრილის შემდგომი პერიოდი, ე.წ. პრაღის რეზოლუცია... იცით, როგორ ლამობდნენ, 9 აპრილის აქცია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასათვის დანაშაულად ჩაეთვალათ, თითქოს ზვიადმა არ დაშალა ხალხი, თითქოს ამბობდა, თუ სისხლი არ დაიღვრა, ისე შეუძლებელია ერმა გაიმარჯვოსო. მაგრამ ჩვენ საბოლოოდ ყველანი ამაში დავრწმუნდით, რომ შეიძლება მიზანს მიაღწიო ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე. ხომ არსებობს ამის მაგალითად 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, ნამდვილად ფანტასტიური არჩევნები. მაგრამ მანამდე ზვიად გამსახურდიას ისეთი იმიჯი შეუქმნეს უცხოეთში, თითქოს იგი დიქტატორი იყო. როგორ უნდა ყოფილიყო დიქტატორი, როდესაც იგი გახლდათ ეროვნულ მოძრაობაში? მას ხომ არავითარი შეხების წერტილი არ ჰქონია მართვის ორგანოებთან? ამაში დაინტერესებული პიროვნებები და უშუალოდ მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტრო იყვნენ ჩართულნი ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. ორი წლის განმავლობაში მუსირებდა ეს "დიქტატორული ვერსია", სანამ ზვიადი ხელისუფლებაში მოვიდოდა. ზვიადს ხომ არავითარი საფუძველი არ მიუცია არავისთვის, რომ მისი სახელი ერთხელ მაინც დაეკავშირებინათ დიქტატორთან. მაგრამ ეს იყო წინასწარგამიზნული ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა მის დისკრედიტაციას ხელისუფლებაში მოსვლამდე. ბევრი არ უფიქრდება, რატომ ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას. ასე რომ, ზვიად გამსახურდიასაგან შექმნეს რაღაც საშინელი, გაბოროტებული, ყველასთან დაპირისპირებული ადამიანის ხატი, მაგრამ ამ ჭორმა შემდეგ დიდი ფიასკო განიცადა, თუმცა ეს ფიასკო ჩვენი ტრაგედიის, ქართველი ერის ტრაგედიის ფასი დაჯდა. ახლა რაც შეეხება ჩემთან დამოკიდებულებას. ოდითგან ასეა — მტერი ყოველთვის დასაყრდენს, გინდ ოჯახში და გინდ სახელმწიფოში, შინ ეძებდა, ეძებდა შინაურ მოღალატეს, გამყიდველს და მით უფრო ისეთ პიროვნებასთან მიმართებაში, როგორიც იყო ზვიად გამსახურდია, რომელიც ნამდვილად აუღებელი იყო კრემლისათვის, აუღებელი და დაუმარცხებელი. მრავალგზის იყო მცდელობა, რომ მისი მეუღლე როგორმე დაესვარათ. აქ უკვე ორი საკითხი შემოდის (ურთიერთდაპირისპირებული): ერთი მხრივ, ერთგულების საკითხი; ეს მხარე იმდენად ძლიერი იყო, რომ ამას ვერაფერი მოუხერხეს. მაშ, უნდა დაპირისპირებოდნენ სხვა მეთოდით. ეს კი გახლდათ დაშინების მეთოდი, ქრთამში გახვევის მეთოდი ან კიდევ ცუდი რეპუტაციის ხალხთან ურთიერთობისა... ამით ისინი მიაღწევდნენ საწადელ შედეგს, რაც იქნებოდა დისკრედიტაცია ზვიადისა. ჩემი სახით მათ არ ჩაუვარდათ ხელთ ისეთი პიროვნება, რომელზედაც ისინი ზემოქმედებას მოახდენდნენ. ეს დევნა გრძელდებოდა ორი ათეული წელი ზვიადის გაცნობის დღიდან დღევანდელი დღის ჩათვლით.

ესაუბრა მანანა ტაბიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

### საქართველოს ფლორა საშინელი სისწრაფით ნადგურდება

*ონში* ადრე სულ 2-3 სახერხი ქარხანა იყო (და ყველა ლიცენზირებული გახლდათ). ახლა იქ 15 სახერხი ქარხანა და ერთი კომბინატია. მათგან არც ერთს არ გააჩნია ლიცენზია. სწორედ ეს საწარმოები იწირავენ საქართველოს ფლორას:

1) ღების სახერხი, "რამა", –დღეში ხერხავს 30 კუბმეტრს;
2) ჭიორის სახერხი, "ცირკული", – 6 კუბმეტრს;
3) გლოლის "ცირკული" – 6 კუბმეტრი;
4) უწერას "ცირკული" –.6 კუბმეტრი;
5) უწერას, "რამა" – 30 კუბმეტრი;
6) გომის "ცირკული" –6 კუბმეტრი, ახლა იწყებს მუშაობას;
7) ნაკიეთის "რამა" – 30 კუბმეტრი;
8) სოფელ ღარის "ცირკული"– 6 კუბმეტრი;
9) ღარის"რამა" 30 კუბმეტრი;
10) ღარის " ცირკული" –6 კუბმეტრი;
11) მოედანი "ცირკული" –6 კუბმეტრი;
12) სოფელ შარდომეთში "ცირკული" – 6 კუბმეტრი;

სოფელ ღარში სახერხი კომბი-



ნატი მეფრინველეობის ფერმაშია გამართული, იქ ხდება ნედლეულის ნახევარფაბრიკატებად დამუშავება საავეჯედ და საპარკეტედ, უკვე წელიწადნახევარია მუშაობს ეს საწარმო. ხელმძღვანელები არიან: ნიკოლაიშვილი (ცეზარ შევარდნაძის ქალიშვილის ქმარი) და დათო ჩიტალაძე (კურირებს ნინო ჩხობაძე). ზოგი იმასაც ამბობს, ყოველივე ამის უკან საერთოდ უცხოელები დგანანო (ასახელებენ გვარსაცფრიკე). დღეში ამუშავებს 50 კუბმეტრს, ძნელი წარმოსადგენი არაა ის ზარალი, რაც თუნდაც ამ ერთმა საწარმომ მიაყენა ჩვენს სიმდიდრესა და ეკოლოგიას წლინახევრის მანძილზე. პატარ-პატარა სახერხებია გამართული სახლებშიც (მაგ. სოფ. წედისში, ქვედში, ხიდეშლებში, ბოლთაში.

პრივატიზაციის განყოფილების გამგეს კარლო ჩიხრაძეს, საგადასახადოს დარგში გამგებლის მოადგილესთან – მელიტონ მეტრეველთან, და გამგებლის მოადგილესთან – მერაბ ორდინიძესთან ერთად აქვს სახერხი ფირმა "ძეგლევი", სადაც მზადდება მასალა, თუმცა საიდუმლოდ ინახავენ იმას, თუ სად იგზავნება ეს ნამზადი.

მთლიანობაში დღეს რაიონში 300 კუბმეტრი იხერხება.

რაიონის მთელი ქონება რამდენიმე ადამიანის ხელშია (მაგ., ბეჟან ჭიჭინაძე არის სანატორიუმის დირექტორი, აქვს ბენზინგასამართი სადგური, აქვს სახერხი. ქარხანა და ა.შ.). ონის მაფიის ხელმძღვანელია რეზო ნოდარაშვილი, რომელიც ყველაფრიდან წილს იღებს. მან და ონის გამგებელმა, ვასო მეტრეველმა, სულ ორი თვის წინ წილის გაყოფაზე საქვეყნოდ იჩხუბეს. ამჟამად ვასო მეტრეველი თბილისში მსახურობს. ონში გამგებელი არ არის.

### ბრაკონიერობა გრძელდება

ონის რაიონში მძვინვარებს ბრაკონიერობა. არც ადრე აკლდნენ აქაურობას ვაი "მონადირე-მეთევზეები", მაგრამ ახლა უკვე უცხოელი მონადირეების ჩამოყვანაც დაიწყო ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ჩვენთვის უცნობია, ვინ გასცა მათზე ნადირობის ლიცენზია, ან სად გადაიხადეს საამისო თანხა, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის პროტესტებმა შედეგი ვერ გამოიღო და ადრინდელთან შედარებით ვითომ მიჩუმათებულად, მაგრამ ძველებური ინტენსივობით გრძელდება ჯიხვებსა და სხვა ნადირფრინველზე ნადირობა.



მოდიან ძაღლებით, ოპტიკურსამიზნეებიანი შაშხანებით, კარაბინებით, "ბარსებით', ავტომატებითა და გლუვლულიანი თოფებით. გადაშენების პირასაა არა მხოლოდ ნადირ-ფრინველი, არამედ თევზიც. ზემო რაჭაში მდინარე რიონში კალმახზე თევზაობენ აკუმულატორებზე აწყობილი ტრანსფორმატორებით, საწამლავით... თევზს არ ინდობენ არც მდინარეში და არც ნაკადულებში. თევზი მოწამლულ ადგილს აღარ ეკარება და, ცხადია, ქვირითსაც აღარ ყრის. ასე იქცა რიონის შენაკადი "მკვდარ წყლად". ამას ისიც ემატება, რომ მდინარე რიონის გასწვრივ 13 სახერხი ერთეული და რამდენიმე სახერხი კომბინატია, რომლებიც ფუნქციონირებენ და იქ გამოყენებული წყალი ნახერხთან ერთად მდინარეში ჩაედინება და კალმახის საბოლოო მოსპობას უწყობს ხელს.

### ქართული მევენახეობის უდიდესი ნარმატება

ქართული ვაზის დიდმა ქომაგმა და პოპულარიზატორმა, ოდესღაც ქართულ ვენახში უცხოეთიდან "ცივილური ეროტიკის" გადმომნერგავმა (გავიხსენოთ ფილმი "სიყვარული ვენახში", რომელმაც, უდავოდ, ღრმა აღმზრდელობითი და კულტურული კვალი დატოვა ჩვენი ახალგაზრდობის გულსა და გონებაში) კინომკეთებელმა (maker) გი-



ორგი შენგელაიამ კიდევ ერთხელ გაიღო "გულის სისხლი"ქართული მიწის ბარაქისათვის და დიდი ჯაფითა და თავგანწირვით დააარსა ახალი (მევენახეობისათვის უაღრესად საჭირო) პარტია "ქართული ვაზი რუსეთთან ერთად". იმედია, ეკონომიკურად ესოდენ სასარგებლო წამოწყებას აიტაცებენ და გაიზიარებენ ვაზის კულტურით დაინტერესებული ისეთი ქვეყნებიც, როგორიცაა: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვ. მაგრამ რაკი ჩვენ ყველას დავასწარით, შესაძლოა რუსეთმა (რომელიც ძალზე კომპეტენტურია ვაზისა და ვენახის დარგში) იმათთვის ველარც კი მოიცალოს.

### კიდევ ერთი ვაზი

როგორც ჩანს, წელს ყურძნის დიდი მოსავალი გველის, რადგან კინოხელოვანთა გარდა მევენახეობის საქმეს უცხოელმა ევანგელისტებმაც მოჰკიდეს ხელი. თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, გაიხსნა ევანგელისტთა რელიგიური აკადემია, სახელწოდებით *"ვაზი"*, სადაც სარწმუნოებრივად გაუთვითცნობიერებულ ქართველებს მისიონერული თავგანწირვით უვანგელიზმზე "მოაქცევენ" ამერიკელი, ბალტიისპირელი და რუსი თეოლოგები და თეოლოგიის დოქტორის წოდებასაც მიანიჭებენ თურმე. აბა, გაბედოს ვინმემ და დაიწყოს ლაპარაკი ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელზე, წმინდა ნინოსა და მირიანზე, ლაზარესა და საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობაზე! – გიგა ბოკერია და მისთანანი მაშინვე ხმას ჩააწყვეტინებენ, რას მიედ-მოედებითო. ასე რომ, "ქართლის მოქცევის" "ცივილური" პროცესი დაიწყო ნუცუბიძის პლატოზეც. ნიშანდობლივია, რომ ევანგელისტები ბარი "შატილის" შენობაში "სულიერობენ".

### სოფელ სავანეს მკვიდრთ საფრთხე ემუქრებათ

*სოფელ სავანეს მკვიდრნი* კოლექტიური განცხადებით მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას: "სავანეში არის წითელი ქვიშის ასეულობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ნაკვეთის ნახევარი უჭირავს აკაციის ტყეს, ნახევარი კი – საძოვრებს. 1962 წლიდან კომუნისტებმა მოსახლეობას ჩამოართვეს საძოვრები და გახსნეს ქვიშის კარიერი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. ამ ხნის მანძილზე კარიერის მოქმედებამ დაანგრია სოფელი *იცქისი* და მოსახლეობა გადმოასახლეს ჩვენს სოფელში. კარიერი დღედაღამ მუშაობს, ხშირია უბედური შემთხვევები. სულ ახლახანს ჩამონგრეულმა ქვიშამ ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. გამწარებულმა მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა რაიონის გამგებელს ცეზარ ლაშხს კარიერის მუშაობის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. ახალი უბედურება ისაა, რომ აკაციის ტყის ნახევარი ნაკვეთი ვიღაც მილიონერ თბილისელზე იყიდება. ამასთან დაკავშირებით 2 დღე-ღამის განმვლობაში ჩავატარეთ აქცია, გადავკეტეთ გზა, მესამე დღეს გამობრძანდა გამგებელი და აქცია დაშალა იმ პირობით, რომ ეს ნაკვეთი არ გაიყიდებოდა. მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ნაკვეთის გაყიდვის განზრახვაზე ხელი არ აუღიათ (მიმართვას ხელს აწერს 20 მოქალაქე).

## ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან

### უფლებების დამცველები რუსეთის გასამართლებას მოითხოვენ

სტოკჰოლმში ევროკავშირის სამიტი დაიწყო. კავშირის ლიდერებმა მაკედონიის პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი მიიწვიეს მთავრობისათვის ალბანელ მეამბოხეთაგან წამოწყებულ კონფლიქტში სოლიდარობის დემონსტრირებისათვის. სტოკჰოლმში ჩავიდა ვლადიმირ პუტინიც. ევროკავშირის ლიდერებს განზრახული აქვთ მიაღწიონ მისგან ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებას და ბრძოლას სახელმწიფო კორუფციის მიმართ. განიხილავენ ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხსაც. საერთაშორისო კანონდამცველები კავშირის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ, დაითანხმონ რუსეთის პრეზიდენტი ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევების ყოველმხრივი გამოკვლევების ჩატარებაზე.

### ბრძოლები ჩეჩნეთში

ჩეჩნეთში ახალი შეტაკებები მოხდა მოჯაჰედების ქვედანაყოფებსა და რუსეთის საოკუპაციო დაჯგუფებებს შორის. ინტენსიური შეტაკებები მოხდა სოფელ ილისხან-იურტის რაიონში. ისლამური ბრიგადა "ჯუნდულას" ქვედანაყოფი მოწინააღმდეგის ავტოკოლონას უტევდა. შეტაკების შედეგად ერთი ავტომანქანა მთლიანად განადგურდა. მოკლულია შვიდი რუსი ჯარისკაცი, ორი სხვა მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი გამოყვანილია მწყობრიდან.

დასახლებულ პუნქტებს ალხან-იურტასა და ჯოჰარს შორის ჯიხად-3 ქვედანაყოფის დივერსიულმა ჯგუფმა აგრესორის ჯავშანტრანსპორტიორი გაანადგურა. დაიღუპა ხუთი ოკუპანტი. შალიში რიზვან ჩიგიტოვის ისლამური ბატალიონის ჯგუფმა აგრესორის კიდევ ერთი ჯავშანტრანსპორტიორი და ოთხი ოკუპანტი გაანადგურა.

ჩეჩნეთის მხარე იტყობინება რუსული სპეცნაზისგან დანაღმულ ადგილებში მშვიდობიანი მოსახლეობის აფეთქებაზე. კურჩალოის რაიონში ნაღმზე აფეთქდა ავტომანქანა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეები ისხდნენ. ერთი მათგანი გარდაიცვალა, ორი მძიმედ დაიჭრა. იქვე, სოფლის განაპირას, ნაღმზე აფეთქდნენ ბავშვები, რომლებიც რუსების ადგილსამყოფელთან ახლოს თამაშობდნენ. სამი დაშავდა, ერთი გარდაიცვალა, ორ მათგანს ფეხი და ხელი მოკვეთეს.

### „ემნესტი ინტერნეშნლ" ბრალს სდებს რუსეთს

უფლებადამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია "ემნესტი ინტერნეშნლმა" სახელმწიფოთა თავკაცებსა და ევროსაბჭოს ქვეყნების მთავრობებს უფრო მეტი პოზიციების დასაკავებლად მოუწოდა ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში. სტოკჰოლმის სამიტზე ვლადიმირ პუტინთან მოლაპარაკების დროს უნდა დაისვას საკითხი დამოუკიდებელი კომისიის ფორმირებაზე, რომელიც მოწოდებული იქნება ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევების გამოსაძიებლად. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ "ემნესტი ინტერნეშნლს" საკმაოდ აქვს ადამიანთა უფლებების დარღვევის ამსახველი დოკუმენტები როგორც ჩეჩნეთში, ისე რუსეთის სხვა რეგიონებში.

### ვაშინგტონი შეშფოთებულია საზღვარზე შექმნილი სიტუაციით

ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველთვის აწუხებდა ის სიტუაცია, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე საომარი მოქმედებები შესაძლებელი იყო შეხებოდა რუსეთ-საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებს და საქართველო პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება ჩათრეულიყო ამ ომში - განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას აშშ-ის ელჩმა საქართველოში კენეტ სპენსერ იალოვიტცმა. დიპლომატის სიტყვებით, აშშ ამ საკითხს მთელი სერიოზულობით უდგება და ასეთი საშიშროების გათვალისწინებით გამოიმუშავეს მოქმედების სამი მიმართულება: საქართველოსთვის დახმარების გაწევა ნაციონალური სასაზღვრო ძალების ჩამოყალიბებაში; მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ჩეჩნეთის მონაკვეთზე მომუშავე ОБСЕ დამკვირვებლებთან, და ბოლოს, გაძლიერებული დიპლომატია.



### შუა აზია ემზადება ომისთვის

საინფორმაციო სამსახურები იუწყება, რომ შედგა ყაზახეთისა და ყირგიზეთის თავდაცვის მინისტრების, ტოკპაკბაევისა და ტოპოევის შეხვედრა. ამ შეხვედრაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ასტანას ჩანაფიქრზე, დახმარება აღმოუჩინოს ბიშკეკს „ისლამური ბოევიკების" თავდასხმის შემთხვევაში.

თავდაცვის მინისტრის, ტოკპაკბაევის სიტყვით, ყაზახი მოემრები მზად არიან დაეხმარონ ყირგიზეთს, თუ მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება. ექსპერტების შეფასებით, მიმდინარე წელს ყირგიზეთში შეიძლება შევიდეს 2 ათასამდე მოჯაჰედი. ჯერ კიდევ გასულ წელს ყაზახეთის მხარემ ყირგიზეთის მეომრებს გადასცა თვითმფრინავი ეკიპაჟთან ერთად. ყირგიზ მეომრებს ავარჯიშებდნენ ყაზახი ინსტრუქტორები. ამჯერად საუბარია უფრო მასშტაბურ თანამშრომლობაზე. ჯერ ლაპარაკია მხოლოდ ინფორმაციების გაცვლაზე. მაგრამ თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე გენერალმა განაცხადა, რომ განიხილება ერთობლივი ეკიპირების შესაძლებლობანი და ყირგიზი კურსანტების მომზადების საკითხი ყაზახეთის სამხედრო სასწავლებლებში.

## მრუდე სარკე

სულ ახლახანს, ფაქტობრივი ხელისუფლების ეგრეთ წოდებული პარლამენტის მიერ შედგა რუსეთის სახელმწიფოსთან შეთანხმებით „ნულოვანი ვარიანტის" რატიფიკაცია. მას შემდეგ ერისის საინფორმაციო საშუალებებს არ სცილდება იმ 127 პარლამენტის გვარსახელები, ვინც ხელი მოაწერა დოკუმენტზე - აბრუნებენ მათ სხვადასხვა ბრუნვაში, ამკობენ უგვანო ეპითეტებით, უწოდებენ სამშობლოს გამყიდველებს...

## სინამდვილე

აქვე უნდა გავიხსენოთ იმ პირთა ვინაობაც, ვინც 127-ის მიღმა არის დარჩენილი:

რა სახელი შეიძლება დაერქვას პარლამენტის მორიგ უმცირესობას, რომელიც პილატესეული პოლიტიკით უკვე მერამდენედ გადის ფონს და თუ თავის დროზე სნგ-ში შესვლაზე აქვს ხელი დაბანილი, ახლა ვალის მიღებაზე იბანს ხელს - ისინი მორცხვად უჩუმდებიან დალატს და იმით კმაყოფილდებიან, რომ არ უერთებენ საკუთარ ხმას „მოღალატეებს" - თან მამულიშვილის სახელის შენარჩუნებაზეც ზრუნავენ მთამომავლობის წინაშე ისე, რომ არც პარლამენტის რიგებს ტოვებენ პროტესტის ნიშნად, არც პრივილეგიებს თმობენ, პირიქით, - ამ უკანონო და პუტჩის მემკვიდრე პარლამენტში მოღვაწეობით - მასში თუნდაც ალტერნატიული პოზიციის დაფიქსირებით დემოკრატიზმის ელფერს სძენენ ამ ე.წ. საკანონმდებლო ორგანოს და სამართალზე დაფუძნებული ქვეყნის იმიჯს უქმნიან ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოს მსოფლიოს თვალში.

## „ქუჯის“ ფოსტიდან

### სეკვესტრობანა

ამ ბოლო დროს მოურჩენელი სენი გვჭამს და გვღრღნის, თურმე ეს ქრონიკული გარღვევა ყოფილა საქართველოს ბიუჯეტისა, ვერ იქნა და ვერ გაკერეს ჩარღვეული ხაზინა, თვალსა და ხელს შუა ქრება მის ნაპრალებში მთავარმმართებლის ხათრის გამო ევროპელთაგან ნაბოძები სესხები და გრანტები.

ბოლოს ადგნენ და სეკვესტრუყვეს - გაასეკვესტრ-ჩაასეკვესტრეს - ჩამოაჭრეს. დარჩა ქვეყანა უსახსროდ!

საქართველო ისედაც ხომ გასეკვესტრებულია, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის იარებიდან სისხლი სდის დედასამშობლოს.

### მამა-მარჩენალი

გვარჩენს და გვაჭმევსო - ხშირად გაიგონებთ ფურთხისვლეპიებისგან ამ სიტყვებს - მის მოტანილ პურსა ვჭამთო, მისი ხათრით და სიყვარულით მილიონებს გვიგზავნიანო.

სად მიდის ის მილიონები, ვის ჯიბეში ილექება? აქტყვია კი მათხოვრად ქცეულ ქვეყანას ნამათხოვრალი?

შეგვეშვით ფურთხისვლეპიებო! არ გვსურს მათხოვრული ლუკმა - პური, ჩვენ ჩვენი ალალი შრომის ნაყოფი გვინდა!

არც ის მილიონები გვეყრება თავს! მაგ მილიონებს ვისაც უგზავნიან, მასვე მოუწევს გადახდა სულ მალე.

ისე კი ერთი რამ ცხადია: მსოფლიოში ულარიბეს ხალხს და ქვეყანას უმდიდრესი მთავრობა და ძალაუფლება ჰყავს.

### კორუფციასთან ბრძოლის ხუთწლეული

ფაქტობრივმა მთავრობამ ეს ხუთწლედი კორუფციასთან ბრძოლის ხუთწლედად გამოაცხადა.

არადა ჩვენში ბალღმაც კი იცის, რომ „სათავეშია თვითონ სიბილწე, ამიტომაც შერყვნილა დღეს ყველაფერი".

ახლაც ჩვენი აკაკი და მამამისის მოურავი გამახსენდა: „ბეღელს თაგვი შეეჩვიაო".

ქართველი ერის სხეულს ავთვისებიანი სიმსივნე მოსდებია, კომაში ჩაგდებული ჩვენი ქვეყანა, სასიკვდილო სარეცელზე მიტოვებული, უცხო თესლთა



საჯიჯგნად გამეტებული, სულს ლაფავს. მის შემყურე ჭირისუფალს ხმაც ჩასწყდომია და საგოდებლად აღარც ცრემლი შერჩენია.

### ჩემი შენ გითხარი. გული მოგიკალი

სამშობლოდან განდევნილმა პრეზიდენტმა 4 მილიარდი მანეთი გაიტაცა და 40 კგ. ოქრო გააყოლაო ხელს - ჩაგვჩიჩინებდა სიცრუის გუდა საქართველოს ტელევიზია და მისი მეამბოხე ჟურნალისტები. 4 მილიარდი მანეთის კუპიურებს ის ერთი ყბადაღებული მერსედესი და სამიოდე მსუბუქი ავტომანქანა რომ ვერ გადაზიდავდა, ამას გონებაჩლუნგიც კი მიხვდება.

ხუნტის მესვეურებმა კი, რაც იმდროინდელ შემსალაროებსა და ბანკებში მოსახლეობის დანაზოგი იყო, სულ ერთიანად აართქლეს. მერე იყო და თუ ვინმეს 20 კაპიკიანი ჰქონდა ჯიბეში, ისიც დასტყუეს, სალაროებს ჩააბარეთ და გაგიორმაგებთო.

აი, ეს არის სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოსახლეობის ჯერ არნახული ძარცვა.

არიქა, გროზნოში მყოფმა გამსახურდიამ რწმენა გამოიცვალა და გამუსლიმანდაო, მეჩეთში ლოცულობსო.

არადა ბევრი ვნახეთ ირანში მეჩეთში ფეხშიშველა მოტანტალე და იერუსალიმში გოდების კედელზე თავმიდებული მლოცველი. გამსახურდია რომ ქრისტიანობის დამგდები არ იყო, ეს ბავშვმაც კი იცის, იმათ კი არ ჰგავდა, სიცოცხლის მიწურულს ყასიდად რომ გაინათლნენ.

ისე ზოგიერთი ძალად ქრისტიანი პატრიარქს დღესაც ამხანაგოთი და ბატონოთი მიმართავს.

ერთი ტვინამომშრალი ნამინისტრალი ამასაც კი ამბობდა: გამსახურდიები წარმოშობით სომხები არიანო. გამსახურდიების სომხობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზოგ-ზოგებზე კი მართლა ამბობენ, ნასომხარი ანტონიანები და ნაურიალარები არიანო.

გამსახურდიამ საქართველოდან ქართველები განდევნაო, გადააყოლეს ერთ მევიოლინე ქალს, გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე რომ 5 წლით ადრე მიეტოვებინა საქართველო.

ისაკაძე დღესაც არ დაბრუნებია სამშობლოს, არ მოუწევს იმ ქალს გული აყვავებულ დემოკრატიულ საქართველოში და რა ვქნათ ახლა.

დღეს კი მართლა დაიცალა საქართველო, განდევნეს ჭეშმარიტი მამულიშვილები, გაიქცნენ ის კულტუროსანი დემოკრატებიც, ვინც ფეხქვეშ გაეგო დემონთკრატიას, ხმას კი არავინ იღებს. ეშინიათ და იმიტომ.

### «შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ»

გაპერანებულ-გაჩანაგებულ ქვეყანაში საზოგადოებაც ნადგურდება, ზნეობა ეცლება და იშრიტება. თვითმკვლელობა - ეს უსაშინლესი ცოდვა და ტრაგედია ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

თავს იკლავს ილაჯგაცლილი, დავრდომილი და მიუსაფარი მოხუცი, მშიერ-მწყურვალად მიგდებული.

თავს იკლავს ახალგაზრდა, ოჯახის ბატონ-პატრონი, მეუღლე და მშობელი. მამა ველარ უძლებს შიშველ-ტიტველი, შიმშილით დაოსებული ცოლ-შვილის ცქერას, ნირწამხდარი და იმედჩაკლული გამოსავალს სიკვდილში ეძებს.

უექიმოდ და უწამლოდ დარჩენილი ავადმყოფი შვებას სიკვდილშიღა ჰპოულობს.

სავარძელში მოკალათებული ძიები კი არხეინად, უდრტვინველად განაგრძობენ ბოგინს.

ჩემო თვალხატულა ძმებო და დებო, ჩემო ბებიებო და ბაბუებო, თქვენ სიკვდილის ღირსი არ ხართ, გონს მოდით, შეუნდობელ ცოდვას ნუ იქმთ. სასიკვდილო ის არის, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა.

გავუძლოთ სულის ტანჯვას, მარტვილობას, ჯვარცმასა და გოლგოთას, ივერიაც გაბრწყინდება მალე!

### «ნაშა სოვესტ ჩის-ტა»

დემონთკრატიული რევოლუციის ახალი ნარიყრაჟევი იყო, ქვეყნის დამანგრეველი ძალა და იდეები მკვიდრად იდგამდნენ ფესვებს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. მახსოვს, მაშინ ჩვენი რესპუბლიკის რუსულენოვან სამთავრობო გაზეთში ახლადჩამოფარფატებულმა ავიოდემოკრატმა, რომელმაც უდიდესი მადლი უძღვნა ჩვენს ყაჩაღანა გამასონებულ ინტელიგენციას შეიარაღებული გადატრიალებისათვის, ინტერვიუ დაბეჭდა სათაურით: "Наша совесть чиста". ინტერვიუ სათაურის გამო აღარ წავიკითხე. განა მართლა აღარავითარი სინდისის ქეჯნა არ არსებობს ამქვეყნად?

ჩვენიო - რესპოდენტი მთელს მის ამალას გულისხმობდა ალბათ, სახეზე სიმწრის ღიმილმა გადამიარა. წამსვე რუსული ჩასტუშკა გამახსენდა და მისი სიმღერის ხასიათზე დავდექ:

"Акулина запевала -
моя душа чиста,
двухсот попов отпустила,
дяконов тристо".

დიდხანს ვფიქრობდი, მათ შორის რომლის „სოვესტი" იყო ჩისტა, იქნებ ვალიკოსი, თენგიზების, ვალერასი, ლანიკოსი; ლიზიკოსი, იზიკოსი, ვახოების, კაკოების თუ თამრიკოების. თავი ვიმტვრიე კარგა ხანს, მაგრამ ვერ ვპოვე მათ შორის „სოვესტ ჩისტიანი".

**ალეკო სანდუხაძე**

## სპორტი

# ქართველი ლომკაცები

**რამაზ ძირთაძე**

გულშემატკივარი არ არის განებივრებული გუნდურ სახეობებში ჩვენი ნაკრებების წარმატებებით. მაგრამ ის, რაც შეძლო საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რაგბში, მხოლოდ და მხოლოდ ქებისა და ალტაცების ღირსია. იყო პერიოდი, როდესაც სპორტის ეს სახეობა პრაქტიკულად ჩაკვდა. სპორტსმენები, პირველ რიგში, რაგბის გადასარჩენად იძულებულნი გახდნენ სათამაშოდ წასულიყვნენ ქვეყნის გარეთ, სადაც ჩამოყალიბდნენ კიდევაც ნამდვილ პროფესიონალებად, შეიძინეს უდიდესი გამოცდილება და საფუძველი ჩაუყარეს დღევანდელ საამაყო ნაკრებს. ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის, პირველ რიგში, რაგბის კავშირს, რომელთა ძალისხმევით მოხდა ნაკრების ფრანგი მწვრთნელის კლოდ სორელის ჩამოყვანა. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენი ნაკრები ანგარიშგასაწევია მთელ მსოფლიოში. რაგბის მამების მეცადინეობით თავის მშობლიურ ფესვებს დაუბრუნდა საფრანგეთში გადახვეწილი სპორტსმენის, მიშელ იაშვილის ვაჟი გრიგურ იაშვილი. მართალია, ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი დონის არ არის და არც სახელმწიფოდან ხდება მიზერული ფინანსური დახმარება, მაგრამ ჩვენი ბიჭები მაინც ნაბიჯ-ნაბიჯ ვაჟკაცურად მიიწევენ წინ და ახარებენ ქართველ გულშემატკივარს. სახეზეა სერიოზული წარმატებები: მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა და საპატიო მეათე ადგილი, შარშანდელ ევროპის ერთა თასის გათამაშებაში მესამე ადგილი, წლევანდელ იმავე ასპარეზობაში ლიდერობა. საქართველომ შეძლო ჰოლანდიის, პორტუგალიის, შემდეგ ჩვენს ტრადიციულ მეტოქესთან, რუსეთთან გამარჯვება 25:23; ყოველივე ამას ახლდა მთელი რიგი პრობლემები, გაჭიანურებული სავიზო რეჟიმიდან დაწყებული უვარგისი სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობებით დამთავრებული, მაგრამ ჩვენმა ლომკაცებმა დაივიწყეს ყოველგვარი სიამოვნება და რუსი "დათვები" საკუთარ "ბუნაგში გაგუდეს". ბოლოს კი არნახული გამარჯვება ესპანეთთან 43:19. დარჩა ერთი შეხვედრა რუმინეთთან და თუ აქაც მიაღწიეს წარმატებას, ეს იქნება პირველი სერიოზული პრიზი ნაკრების ისტორიაში. ევროპის ერთა თასის 2001 და 2002 წლების გათამაშება, თავის მხრივ, მსოფლიო თასის 2003 წლის



შესარჩევი ეტაპიცაა და ყოველგვარი პირობა იქმნება იქ საასპარეზოდ. უფროსებს არც ახალგაზრდები ჩამორჩნენ; მათ უკვე შარშან იასპარეზეს მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთში და აპრილში ჩილეში გამართულ შეჯიბრებაში კიდევ უფრო ღირსეულად გამოვლენ.

ბოლოს გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების სტატისტიკურ მონაცემებს და მოთამაშეთა შემადგენლობას. ფრჩხილებში მითითებულია ასაკი და გუნდი, სადაც ისინი გამოდიან. ჩატარდა 40 თამაში. გამარჯვება 26; ფრე 1; მარცხი 13. ლელოები 103:82

1. მევლუდ მთიულიშვილი (21 წ. ორიაკი. საფრ.)
2. აქვსენტი გიორგიძე (25 წ. ერ სიუერ ლადური. საფრ.)
3. ლევან ცაბაძე (28 წ. კასტრი. საფრ.)
4. ვანო ნადირაძე (29 წ. ლიმურნი. საფრ.)
5. ვიქტორ დიდებულიძე (31 წ. ტარბ ლენი. საფრ)
6. დავით ბოლქვაშვილი (22 წ. ტულონი. საფრ)
7. გია ლაბაძე (28 წ. ტულონი. საფრ.)
8. ზურაბ მჭედლიშვილი (30 წ. მიიო. საფრ.)
9. ირაკლი აბუსერიძე (24 წ. ქართული ჯარი)
10. პალიკო ჯიმშელაძე (26 წ. კასტრი. საფრ.)
11. ვასილ კაცაძე (25 წ. რუმიი. საფრ.)
12. თედო ზივზივაძე (21 წ. ქართული ჯარი),
13. ვასილ აბაშიძე (23 წ. ქართული ჯარი
14. მახო ურჯუკაშვილი (21 წ. ქართველი ჯარი)
15 ბესიკ ხამაშურიძე (24 წ. ტულონი. საფრ.)
16. ილო ზედგენიძე (24 წ. ბეზიე. საფრ.)
17. ტარიელ რატიანიძე (21 წ. მონტობანი. საფრ.)
18. ბესო უდესიანი (22 წ. ლოკომოტივი. საქართველო)
19. კახა ალანია (27 წ. ლოკომოტივი. საქართველო)

•

მწვრთნელი: კლოდ სორელი (53 წელი).

ჩვენი რწმენა

# ოცდაათი ქველი საქმე წმიდა მამათა მიხედვით

**ლუიზა ხაჭაპურიძე**

სიმართლე გვიხსნის სიკვდილისაგან; სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია; შრომა ხორცისთვის საქებარია, სულისთვის ცხოვნებაა; მორჩილება (ღვთისადმი) გზაა გადარჩენისათვის; სიმდაბლე - ამისი თვით სატანას ეშინია; თავშეკავება თვით ალასრულებს ყველა მცნებას; არ განკითხვა უშრომელად გადარჩენაა, არ გამოძიება ყველა სათნოებაზე მაღლა დგას; მონანიება - სიხარულია ღვთისა და ანგელოზების; მარხვა ლოცვასთან ერთად ღმერთთან აერთებს; მოწყალება თვით ღვთის საქმეა; ვინც გაჭირვებულს ეხმარება, მასში თვით იესო ქრისტეა; ვინც მოთმინებით ატარებს მძიმე ტვირთს, ასრულებს მკაცრ მორჩილებას და მას თვით იესო ქრისტე უტვირთავს; ვინც ნუგეშს სცემს დამწუხრებულ მოყვასს, ის მორჩილებით ეამბორება იესო ქრისტეს; ვინც მოყვასს თავისზე უკეთეს საჭმელს მიართმევს, ის კვებავს იესო ქრისტეს კეთილი საკვებით; ვინც მოყვასის ცოდვაზე ტირის და ითხოვს მათ პატიებას, ის ფეხს ბანს იესო ქრისტეს; ვინც წმინდა ნაწერებს კითხულობს, ის იღებს თავის სულიერ სახლში იესო ქრისტეს; ვინც ათხოვებს ღვთივკურთხეულ წიგნებს მოყვასს წასაკითხად, იგი სასიამოვნო საკვებს მიართმევს იესო ქრისტეს; ვინც განეშორება უქმ სიტყვებს, ის ეზიარება ქრისტეს ტრაპეზს; ვისაც არ სურს მოისმინოს გმობა და განკითხვა თავის ძმაზე, იგი აძევებს ეშმაკს თავისი სულიერი სახლიდან; ვინც მიბაძავს მოყვასის კეთილ სათნოებებს, ის ძვირფას ყვავილებს იძენს; ვინც გაჭირვებულს დაინახავს და გული შესტკივა მასზე, იგი ქრისტეს ჭრილობებს უშუშებს; ვინც კეთილმსახურებით ასწავლის ღვთის სიტყვას, ის ძმათა შორის უფლის ლოცვაკურთხევას ალასრულებს; ვინც უძლურ ძმას კვებავს და ეხმარება, ის ანგელოზებთან ერთად გალობს ქრისტეს აკვანთან; ვინც სიმდაბლით და კეთილკრძალულებით თავს იკავებს ჭამა-სმისაგან, უარყოფს ამქვეყნიურობას, მას მიაქვს საჩუქრები მეუფესთან ერთად იესო ქრისტესთან; ვინც თავს ბანს მოყვასს, ან ურეცხავს ტანსაცმელს, ის იოანე ნათლისმცემელთან ერთად ნათლავს იესო ქრისტეს; ვინც განმარტოებულია (დახშულია), ის იმყოფება უდაბნოში იესო ქრისტესთან; ვინც არ ეწინააღმდეგება წინასწარმეტყველებს და აკვდინებს თავის სხეულს, ის მარხულობს ქრისტესთან ერთად; ვინც გარდაცვლილზე ლოცულობს, ის ქრისტესთან ერთად მიდის ლაზარეს კუბოსთან და სთხოვს მამაზეციერს მის აღდგინებას მკვდრეთით; ვინც სიმდაბლით მადლობს უფალს ყველაფრისათვის, ის იმზადებს ადგილს თავისთვის ღვთის სასუფეველში. ამინ!



---

1989 წლის 9 აპრილის ჟულეტაში ქალები მოკვდნენო... 9 აპრილის მსხვერპლნიო - წერენ დაუფიქრებლად!

1989 წლის 9 აპრილს ვინც რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ იდგა, ყველა მზად იყო სამშობლოსათვის თავი შეეწირა, ამდენად, 9 აპრილს მსხვერპლი არ ყოფილა, 9 აპრილს გმირები დაიღუპნენ სამშობლოსათვის ბრძოლაში; სწორედ 1989 წლის 9 აპრილის ეს ბრძოლა დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით!

9 აპრილის გმირებს გაუმარჯოს!

„მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს!"...

---

საქართველოს სხვა ახალი ამბები

## ცოტა ხანში საქართველოში ხე აღარ დარჩება

რაჭის ნუდა ხეობა – ონის რაიონი – მოუსავლიანობამ ისედაც მწირი მხარე განსაკუთრებულ გასაჭირში ჩააგდო: უხელფასობა, მასობრივი უმუშევრობა, 14 თვის გაუცემელი პენსიები, უგზოობა... ცენტრალური გზებიც კი შეუკეთებელია. ონის ზემოთა ხეობის რვა სოფელს მხოლოდ ერთი ავტობუსი ემსახურება, მთელი ზამთარი ხალხს შუქი არ ღირსებია, არ ფუნქციონირებს საავადმყოფო. მთავარმა ექიმმა ალავერდ ხვედელიძემ (მეტსახელად კიკოჩამ), რომელიც ონის მაფიის ერთ-ერთი აქტიური წევრია (და რომელსაც მიღებული არცა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება), მოსპო საავადმყოფოს მთელი ქონება: იყო და აღარ არის რენტგენი, სხვა აპარატურა, არ არიან სპეციალისტები (ექიმთაგან მთელ რაიონს ორი ადამიანი (ნევროპათოლოგი და ფტიზიატრი) ემსახურება.



რაიონში ყველა შენობაში მოშლილი და გაძარცვულია საქვაბეები, აბანოები და გათბობის გაყვანილობები, ქვის სატეხი ქარხანა ნაკიეთში, ქვის სატეხი მანქანა უწერაში, სოფლებიდან გატანილია დიდი საკოლმეურნეო სასწორები, მიწისძვრის დროს მოტანილი ამწევები. ონში მომრავლდნენ ოსები, აქა-იქ უკვე გაისმის მოსყიდულთა ხმები ცხინვალთან შეერთების შესახებ.

ონის რაიონში 18000 ჰექტარი ტყეა. 1993 წლიდან მიმდინარეობს ინტენსიური ტყის ჭრა. ბოლთის ტერიტორიაზე მთლიანად გაჩეხეს 70 წლის წინ ხელოვნურად გაშენებული ფიჭვი, გაიჩეხა სოფელ შოუბნის ტყე, ნაკიეთის ფიჭვი, ონის დასვენების პარკში მოიჭრა 100 ძირი მრავალწლიანი ხე. განადგურებულია უნიკალური ხის ჯიშები სოფელ გადამშის ტერიტორიაზე –წაბლის კორომები, რომლებსაც მრავალი წელი სჭირდება (100 წელი მაინც) ზრდასრულობამდე მისაღწევად. წიფელა იჭრება სოფელ შქმერში, ბაჯიხევში, სოფელ ჭალის ტყეში, საკაო – ხიდეშლების ტყეებში, საგლოლოსა და ნოწარის ტყეში. 10 წელია არ გაკეთებულა ტყის დოკუმენტაციური რევიზია, არ შედგენილა არც ერთი ოქმი... რაიონში გამეფებული უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლას გადააყოლეს (სამსახურიდან მოხსნეს) სატყეო მეურნეობის დირექტორი და მაფიოზური კადრები დანიშნეს. რაჭიდან მანქანები გადიან ღამით, როცა მოსახლეობას სძინავს. ეზიდებიან მორებსაც და ნახევარფაბრიკატებად დამუშავებულ საავეჯე-საპარკეტე მასალასაც, გააქვთ წიწვოვანი ფიჭვი და ფოთლოვანი წიფელა, წაბლი, მუხა.

მორებად დამზადებული ხეები გასაყიდად თურქეთში გააქვთ, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობს ონის ყოფილი გამგებელი და ამჟამინდელი დეპუტატი ნოდარაშვილი.

სოფელ ხიდაშლების მოსახლეობა წინ აღუდგა ნოდარაშვილის საქმიანობას. პროტესტის ნიშნად მათ გზა გადაკეტეს, მაგრამ საპროტესტო აქცია მალევე დაშალეს. ონში ტყეების გაჩეხვა გრძელდება.

---

ხსოვნა

კოპნია სოფელია ოდიში. ზუგდიდ-წალენჯიხის გზაზე, ოდიშის დასაწყისში, სერზე პატარა სასაფლაოა. გამვლელი მძღოლები აუცილებლად სიგნალს მისცემენ, ქვეითნი ქუდს მოიხდიან, ეს პატივის მიგება ეროვნული ხელისუფლების ჯარისკაცებს ვაწინძეებს ეკუთვნის უპირველესად - ძმებს კახას და თემურს და მათ ახლახანს მიმატებულ ბიძაშვილს დუგლასს.



ესაა 92-93 წლების, შავი რეაქციის დროინდელი ტრადიცია, როცა ყოველივე ეროვნულს ქოფაკები დასდევდნენ. ხალხი კი ამ დაუსჯადი ჟესტით გამოხატავდა თაყვანისცემას ზვიადის ჯარისკაცებისადმი.

დუგლასი პატარაობისას სუსტი ბავშვი იყო, კოჭლობდა, შემდეგ, ვაჟკაცობაში შესვლისას, ნებისყოფის მობილიზებით, ვარჯიშით ნამდვილი ჯარისკაცი დადგა. პირველი შევიდა ეროვნული გვარიის, აფხაზეთში მებრძოლთა რიგებში და უკანასკნელი გამოვიდა იქიდან. ხუნტი ჯარების მიერ აფხაზეთის დატოვებიდან მთელი ერთი კვირის შემდეგ, როცა ყველას გამოგლოვილი ჰყავდა, გამოვიდა და თან მიტოვებული, განწირული ქართველების ჯგუფი გამოიყვანა. ბოლომდე ზვიად გამსახურდიას, ეროვნული ხელისუფლების ერთგული დარჩა, თვალის დასანახავად ვერ იტანდა ე.წ. „შემორიგებულებს", ექებდა გოჩა ესებუას მოღალატეებს. მოღალატე დაუსჯელი არ უნდა დარჩესო, ეს აუცილებელია ერის ჯანსაღი მორალის ჩამოსაყალიბებლადო. სულმოუთქმელად ელოდა ხუნტის გადაშენებას და კანონიერების აღდგენას.

ვაგლახ! კიდევ ერთი მამულიშვილი ვერ მოესწრო ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების ახდენას. მშვიდობით, ძმაო დუგლას, შორს არ არის ის დრო, როცა იზეიმებს ის იდეალები, რომელთა განხორციელებისთვის მებრძოლი ერთ-ერთი ჯარისკაცი შენც იყავი.

**გ. მაქაცარია**

---

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა თანაგრძნობას უმზადებს ელზა და ნუგზარ ცერცვაძეებს, ცაცო და ანზორ გაბიტაშვილებს დედისა და სიდედრის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის სამგორის რაიონული ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს კავშირის წევრ ქალბატონ ლუიზა ზენაიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ლიტერატურა

## თინათინ მღვდლიაშვილი

### ინკვიზიცია საღვთო ქალაქში

ორი ძველი შეთქმული – გიურზა და მელია,
დგანან საღვთო ქალაქში და პილატეს ელიან!..
და ელიან იუდას, – გამცემს, ისკარიოტელს,
ქამი უდგათ სეროზის, – კაიაფას, ჰეროდეს!..
და მოფრინდა ზეცადან რკინის თეთრი ფრინველი,
გავხდი დიდი დაცემის და ლალატის მხილველი!
ავსულები დაძრნიან თითქოს გულის ფიცარზე,
ჩამობობლდა მაქცია ივერიის მიწაზე!..
ქარია თუ წვიმაა?... წვიმაა თუ ქარია?...
ზეცა შროშანისფერი, ნეტავი, რამ არია?...
ალმათ ცაზე დაქრიან მალემსრბოლი მხედრები! –
ამდენ სანუხარისგან ვბობოქრობ და ვხელდები! ...
იქნებ მთები დაიძრნენ ამ ჩემს გულის ძგერაზე? –
ამეტყველდა საცანა რუსთაველის ენაზე!...
ნამიბილწა ავარამ მარგალიტი ქებული!–
უვიცია, პატარა და ზეცამოგდებული!..
ვდგავარ გახევებული, ვით ვარ ამის ამტანი?–
მგელს მიართვეს ტარიგად უცოდველი ზატკანი!..
თითქოს შხამი შემასხეს – იუდასგან მოწვდილი!–
ესეც კრავის ზეიმი!.. ესეც კრავის ქორწილი!..
და ცრემლიან ნამებში მაგონდება წარსული!– .
ურწმუნოთა თარეში! ცოდვა-წრეგადასული!
სისხლიანი სამსჯავრო! სისხლიანი ჩვევები!–
და ქვესკნელის სამყარო, – „ესპანური ჩექმები"!..
ვატიკანის სივრცეში ფუნჯი მამათმავალთა!–
მწვალებლური „ხატები" – ემმას შთამომავალთა!
წმიდა პეტრეს ტაძართან – მოედანი „რჩეული"!..
ჯვაროსანთა ომები! – სისხლის ღვრა და ხანძარი!–
და ათონზე ღვთისმშობლის დარბეული ტაძარი!
ვითომ ქრისტეს სახელით!–ავზნიანი მკვლელები!–
და ქართველი ბერებით ჩაძირული გემები!
მერე სხივი მცირედი–„პაპთა ავინიონი."–
სილა მაგრად გარტყმული! – სამშობლოში ვიიონის!..
მერე ღამე ბართლომეს, ხორცი ასგზის ნაკვეპი!..
უწმინდური ბალთაზარ და ორსული პაპები!..
ვითომ ქრისტეს სახელით! – მძვინვარება ავაზის!..
ტორკვემადას მოკლული სული ათი ათასი!..
მოხარხარე ალქაჯნი – ნამებულთა კვნესაზე!..
და ხალხების ჯალათი!–ინოკენტი მესამე!
ჯოჯოხეთის ზეიმი! ლუციფერის ხლართები!
გარეგნული „სიმშვიდე", მანტია და ბაფთები!
პირქუშ საპყრობილეში დაფარული გვარები!–
და სული ქრისტეს სახელით!
და სული ქრისტეს სახელით!
სიკვდილი და გვამები!..
და მოფორთხავს აფთარი, როგორც უხსენებელი!–
ავგული და ავთვალი, ავად სახსენებელი!
მათ ხომ მუდამ ყოველი „იცოდნენ" და „იციან"!–
მობრძანდება თბილისში თავად ინკვიზიცია!...
ქარია თუ წვიმაა?.. წვიმაა თუ ქარია?
ზეცა შროშანისფერი, ნეტავი, ვინ არია?..
შრიალებენ ქარბუქში ჭადრები და ვერხვები
და სივრცეში დაქრიან მალემსრბოლი მხედრები!
იქნებ მთები დაიძრნენ ამ ჩემს ფოთოლცვენაზე?...
ქარი აბნევს თბილისში აზრებს ათასნაირებს,–
იეზსა და ენძელებს და იუდას ყვავილებს!..
ვდგავარ გამეხებული!.. ვით ვარ ამის ამტანი?.!
ღმერთო, გადამირჩინე უცოდველი ბატკანი!
მიხოხავენ მცხეთისკენ რომის ტარტაროზები!..
მიქაელი, გაბრიელ, – სატახტოში ელიან,–
როდის მობრძანდებიან გიურზა და მელია!..
და ილვრება ზეციდან უფლის მადლი ულევი,
და ჯარებად მოდიან უხილავი სულები.
მზის სარკმლიდან ელავენ, როგორც იაგუნდები,–
ზეთისხილის რტოები და ცხრა დასის გუნდები.
სამთავროსთან ნინო დგას, ნათლით გაბრწყინებული,
და მოჰქრიან გიორგის ძმები განრისხებულნი!..
გუგუნებენ ზარები – ალავერდის, სიონის!–
და ფეხზე დგას სამზეო მთელი კავკასიონის!
ღმერთო, შემაძლებინე ამ ნამების ატანა!
როგორც ჩამოეხეტა, ისე წავა საცანა!
წავა! წაეხეტება! –ენაგადმოგდებული!–
უვიცი და პატარა, და ზეცამოგდებული!
მე კი მცხეთას დამრჩება ჩემი ძელი ცხოველი,
ჩემი ჯაჭვის პერანგი – თეთრი სვეტიცხოველი!
და იულერებს მარადის – მარგალიტი ქებული,–
ჩემი ენა ქართული, – სულიწმიდით ცხებული!
საქართველო ჩემია! – იცოდნენ და იციან!–
ვერ წამართმევს სამშობლოს – პაპის ინკვიზიცია!

2000 წ.

---

„ესპანური ჩექმები" - საწამებელი ჩექმა.

მოედანი „რჩეული" - პარიზი, გრევის მოედანი. ათასობით ადამიანს წვავდნენ ჯვარზე გაკრულებს...

პაპთა ავინიონი - პაპთა დამცირების და ტყვეობის პერიოდი საფრანგეთის ქალაქ ავინიონში. 1303 წელს ფილიპე IV ლამაზის კანცლერმა, ყაჩაღმა ნოგარემ 86 წელს ბონიფაციუს VIII-ს სილა გაარტყა. პაპი, რომელიც „მელასავით დაძვრებოდა, ლომივით მეფობდა, ძაღლივით მოკვდა".

ორსული პაპები - ერთმა ქალმა მოახერხა პაპის ტახტამდე „ამაღლება". ორსულმა ქალმა პაპმა რელიგიური მსვლელობის დროს იმშობიარა... მას შემდეგ შემოიღეს ტრადიცია - პაპის კანდიდატს უნდა წარმოეჩინა ფალოსი...

ლუციუს მესამე - პაპი. 1184 წ. ლუციუს III-ის ინიციატივით და ფრიდრიხ I-ის მხარდაჭერით ეპისკოპოსებმა მიიღეს უფლება, დაეჭირათ და ეწამებინათ ერეტიკოსები. ხალხს ფატრავდნენ, ჭრიდნენ, ხარშავდნენ, ჭამდნენ, ყრიდნენ უფსკრულში, წვავდნენ კოცონზე.

თომა ტორკვემადა - ესპანელი ინკვიზიტორი. 1480 წ. შექმნა ახალი ინკვიზიცია. მასობრივად აწამა და მოკლა 10 000-ზე მეტი ადამიანი. მათ შორის მეცნიერი და პოეტი ჯორდანო ბრუნო, ექიმი სერვეტი, მეცნიერი ლუჩილიო ვანინი, მოაზროვნე ტომაზო კამპანელა და სხვა.

ინოკენტი მესამე - პაპის პირველი ინკვიზიტორები იყვნენ 1198 წ. ინოკენტი III-ის მიერ დანიშნული სამოციქულო ლეგატები.

ბართლომეს ღამე - 1572 წ. 24 აგვისტოს სისხლიანი ღამე, როდესაც კათოლიკეებმა პარიზში, წმ. ბართლომეს საზეიმო ღამეს გაჟლიტეს მძინარე ჰუგენოტები, ე.ი. ფრანგი პროტესტანტები. მოიკლა 30 000 ადამიანი. ამ სისხლისღვრის მოთავე იყო ეკატერინე მედიჩი. პაპმა გრიგოლ VII-მ დალოცა ეს სისხლისღვრა.

---

მეცნიერება

## ნიცშე და გრიგოლ რობაქიძე

სიმონ არველაძე

(დასაწყისი წინა ნომერში)

დავუბრუნდეთ დიონისურის რობაქიძისეულ ინტერპრეტაციას. საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის, ამ კონტექსტში, დავიმოწმებთ ბერძენი მწერლის კაზანცაკისის რომანიდან „ტოდორაბა" /ებრაულ ენაზე ნიშნავს მადლობას/ ერთ ფრაგმენტს, რომელიც თარგმნილია ქართულად. 30-იან წლებში გამოქვეყნებულ ამ რომანს დიდი აღიარება და შეფასება ხვდა წილად. მასში აღწერილია ქართველ მწერალთა სერობა, ე.წ. დიონისური გარემო. დახასიათებულია „ცისფერი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით" /ტიციანი/, მათ შორის გამორჩეული, მკაფიოდ გამოკვეთილი ფიგურაა გრიგოლ რობაქიძე. მისეულ აღსარებაში იგი /გრ.რობაქიძე - ს.ა./ გამოკვეთს თავისი ხელოვნების მისტიურ იდეას იმ მიზნით, რომ იპოვნოს და გამოთქვას მის მიღმა მამის უხილავი არსი.

ბერძენი მწერალი ოსტატურად გადმოსცემს გრიგოლ რობაქიძის ფილოსოფიური განსჯის ძალმოსილებას და სიღრმეს, მის მიზანს და მისწრაფებას იქითკენ, რომ ლოგოსთან ერთად მოიტაცოს ის უხილავი არსი, რომელიც ჩვენში არსებობს და მაგიამდე დაიყვანება. მისი თქმით, ხელოვნება საიდუმლოებით სავსე მეცნიერებაა, ნამდვილი ღვთისმსახურებაა: „სიტყვა იზიდავს და იტყვევებს უხილავ სულს, რათა ხორცი შეასხას და გამოეცხადოს ადამიანს",

სიტყვა ლოგოსი, ქმნა - ქართულ ენაზე ამავე დროს ნიშნავს დატყვევებულსა და შერწყმულს, სიტყვა ვალდებულია მიიღოს, „დაემორჩილოს და გაანაყოფიეროს მატერია". ამ ბრძნული განსჯით მოხიბლული ბერძენი მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ რობაქიძეს. იგი წერს: „სოკრატე იყავი ამაღამ პოეტებისა და მწვადების ნადიმზე, ცბიერად, ჰედონიკურად შეიჭრა თქვენი სული ლოგოსის ქსელში. ერთი წუთით მომეჩვენა, თითქოს ხაფანგდაგებული არესი და აფროდიტე ეხვეოდნენ ერთმანეთს".

> გრიგოლ რობაქიძე ორენოვანი მწერალი იყო, იგი წერდა ქართულად და გერმანულად. ამ თვალსაზრისითაც იგი მსოფლიო მოვლენაა. მისმა გერმანულმა გააოცა გერმანულენოვანი სამყარო

ერთი გერმანელი მწერლის თქმით, გრიგოლ რობაქიძემ დასავლეთ ევროპას გადაუშალა ქართული მიწა, მისი მადლი, სუნთქვა ქართული მიწისა, მისი შორეთიდან მომდინარე ზღაპრული ფერები.

რაბინდრანათ თაგორი იყო პირველი ადამიანი, ვისი სახელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოშუქდა. მას მოსდევდა გრიგოლ რობაქიძე, უფრო პირველქმნილი, უფრო დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე ნობელის პრემიის მქონე ინდოელი". საგულისხმოა კიდევ ერთი მოსაზრება: როდესაც რუს ემიგრანტ მწერალს ბუნინს მიანიჭეს ნობელის პრემია, მისი წიგნი მაშინვე გადათარგმნეს გერმანულად. მასზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში გარკვევით ეწერა: „რომ არ ვიცოდეთ, რომ ავტორი ლაურეატია ნობელისა, განზილება ჩვენი მოლოდინისა ნაკლები იქნებოდა. ის, ვინც შეძლებდა მარადი რუსეთის გადმოცემას, არის ავტორი „ჩაკლული სულისა" - გრიგოლ რობაქიძე." როგორც ჩანს, რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ რობაქიძეს, მაგრამ რატომღაც იგი რუსი ჰგონია.



გრიგოლ რობაქიძე ორენოვანი მწერალი იყო, იგი წერდა ქართულად და გერმანულად. ამ თვალსაზრისითაც იგი მსოფლიო მოვლენაა. მისმა გერმანულმა გააოცა გერმანულენოვანი სამყარო.

სამშობლოდან გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძე ევროპამ გენიოსად აღიარა, დასანანია, რომ გვიან დაუბრუნდა სამშობლოს /ბუნინი რუსეთმა ადრე დაიბრუნა/.

„არსი არსშია თვითონ" - ასე შეუცვლელ არსად დაუბრუნდა იგი სამშობლოს.

თავის ნებით არასოდეს ტოვებდა ქართველი სამუდამოდ საქართველოს, ამიტომ ვართ ასე ცოტანი საზღვარგარეთ, მხოლოდ ბედის უკუღმართობით ხდება ზოგი იძულებული, დატოვოს ადგილის დედა, როგორც ახლა, ათასობით რომ წავიდა ქართველი - ვინ სად?

გრიგოლ რობაქიძეს არ გაუწყვეტია სულიერი კავშირი თავის ფესვებთან; ანდერძში „მეტს არას ვთხოვ საქართველოს", იმას ევედრებოდა ყველას, რომ ეხსენებინათ იგი.

აი, რა უთხრა მან გერმანიაში ტყვედ მოხვედრილ ერთ ქართველს: „მე, როცა ახალგაზრდა ვიყავი, მეგონა, რომ აქ ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო მიმძიმს სამშობლოს გარეთ ცხოვრება, ამიტომ გირჩევთ, ომის დამთავრებისთანავე სამშობლოში დაბრუნდეთ და მისი კეთილდღეობისათვის იზრუნოთ.

კარგად დაიხსომეთ: „სამშობლოს გარეშე არ არსებობს არავითარი ბედნიერება".

# კარიკატურისტის კომენტარები

„პოლიცია ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. პოლიცია რომ არ იყოს, ამდენ ხალხს ყვავი წაგიღებდათ სუყველას".

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
ზურაბ ჩხაიძე
„რეზონანსი"



„ეტყობა, საქართველოს პრეზიდენტმა გაიღვიძა".
ირინა სარიშვილი
„ინტერ-პრესი"



## სხვადასხვა * სხვადასხვა * სხვადასხვა * სხვადასხვა

# ქაფში



## კანის მოვლა

კანი გარემოს სხვადასხვა ზემოქმედებისაგან ორგანიზმის დამცველი გარეგანი საფარველია.

ნორმალური კანი ნაკლებ გულმოდგინე მოვლას საჭიროებს, ვიდრე მშრალი ან ცხიმიანი კანი. ცივი წყლით სისტემატურმა ბანამ შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე, მოდუნება, სისხლძარღვთა გაფართოება. ამიტომ უნდა დაიბანოთ ოთახის ტემპერატურის წყლით. პირის დასაბანად შეიძლება სხვადასხვა საპნის ხმარება („კოსმეტიკური", „საბავშვო", „სპერმაცეტული", „ლუბიმოე", „პალმის"). დაბანის შემდეგ სასურველია წაისვათ დასარბილებელი კრემი.

ცხიმიან კანს ახასიათებს ცხიმის ჯირკვლების გაძლიერებული სეკრეცია. კანის მიერ გამოყოფილი ჭარბი ცხიმი აფართოებს ჯირკვლების სადინარებს, ახშობს მათ, რის შედეგადაც ჩნდება შავი წერტილები - კომედონები. ასეთი კანი გაუხეშებული და პრიალაა. კანის გასაწმენდად შეიძლება ლოსიონის („დილა", „განთიადი" და სხვა) გამოიყენება.

მშრალი კანი უფრო თხელია, ნაზი, ადვილად ღიზიანდება ქარის, მზის, ყინვის, საპნისა და კოსმეტიკური საშუალებების ზემოქმედებით. თუ ასეთი კანი საპონს ვერ იტანს (წითლდება, იქერცლება, იჭიმება), დაბანის ნაცვლად უნდა გაიწმინდოთ ლოსიონით („რძე", „ნუშის რძე", „დილა", „კავერდოვანი"), ხოლო 30 წლის ასაკის შემდეგ აუცილებელია მკვებავი კრემების გამოყენება. მშრალი კანისათვის რეკომენდირებულია კრემები „ალოე", „ნორკოვი", „ვოსტორგი", „სპერმაცეტი" და სხვა).

*ხელის კანის მოვლა*

ხელების დაბანა საჭიროა თბილი წყლითა და ხელის საპნით, კარგად უნდა გაიმშრალოთ რბილი პირსახოცით და წაისვათ მკვებავი კრემი. თხელი და ნაზი კანის შემთხვევაში თეთრეულის, ჭურჭლისა და იატაკის გარეცხვის წინ ხელზე უნდა წაისვათ დამცველი კრემი. კანის ზედმეტი ოფლიანობის შემთხვევაში დასაბან წყალში უნდა ჩაასხათ ნიშადურის სპირტი 1 ჩაის კოვზი 1 ლიტრ წყალში.

*ფეხის კანის მოვლა*

ფეხების დაბანა რეკომენდირებულია ყოველდღე თბილი წყლითა და საპნით. ფეხის აბაზანა სპობს დაღლილობას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. სოკოვანი დაავადების პროფილაქტიკის მიზნით კვირაში ერთხელ ფეხების კანი უნდა გაიწმინდოთ ლოსიონით „ჰიგიენა" ან სუფრის ძმრით. მეტისმეტი ოფლიანობის შემთხვევაში ყოველდღიური დაბანის შემდეგ საჭიროა ტერფის გაწმენდა 2 %-იანი სალიცინის სპირტით, შემდეგ კი ტალკის მოფრქვევა.

# დიასახლისი



## ძალიან იოლად გამოსაცხობი ღვეზელი

200 გრამი დარბილებული კარაქი ან მარგარინის, 200 გრამი არაჟნის, 3 ჭიქა (ან ცოტა მეტი) ფქვილისა და ნახევარი ჩაის კოვზი მარილისაგან მოზილეთ ცომი, მოათავსეთ ფქვილმოყრილ ტაფაზე. გააბრტყელეთ ცომის უმეტესი ნაწილი, მეორე კი მოიტოვეთ. გაბრტყელებულ ცომზე დადეთ დაჭრილი და შაქარმოყრილი ვაშლი, მურაბა, ჯემი ან შაქრიანი ხაჭო, ერთი სიტყვით, სასურველი ფარში. დარჩენილი ცომისგან გააკეთეთ რვაათი გრძელი ნაჭერი და დაადეთ ღვეზელს ისე, რომ გამოვიდეს კვადრატები, წაუსვით კვერცხი და შედგით ღუმელში 25-30 წუთი.



## ბლინი

მასალა: 2 ჭიქა ფქვილი, 4 ჭიქა რძე, 2 კვერცხი, 1 სუფრის კოვზი ახალი საფუარი, 1 სუფრის კოვზი შაქარი, 2 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი გემოვნებით.

## „ოლადები"

„ოლადებს" სჭირდება ბლინზე უფრო სქელი ცომი, მასში ურევენ ყველს ან ხილის ნაჭრებს.



მასალა: 2 ჭიქა ფქვილი, 2 ჭიქა რძე, 1 სუფრის კოვზი შაქარი, 1 სუფრის კოვზი ახალი საფუარი, 2 კოვზი ზეთი, მარილი გემოვნებით. ცომში, ამოსვლამდე, ჩაყარეთ 4 ცალი გახეხილი სტაფილო.

## ფუნთუშა

აიღეთ 2 კგ. ფქვილი, 8 კვერცხი, 4 სუფრის კოვზი კარაქი და ნახევარი ჭიქა შაქარი. მოზილეთ ცომი ნახევარი საათი, შემდეგ ცომისგან გააკეთეთ სხვადასხვა ფორმის ფუნთუშები და ჩაყარეთ მდუღარე წყალში. რამდენიმე ხანში ფუნთუშები ამოტივტივდება, მოაყარეთ მას შაქარი, მოათავსეთ ტაფაზე და შედგით ცხელ ღუმელში.

# კვიმატი



ორი იმერელი შეხვდა ერთმანეთს:

- ხომ იცი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.
- კაი ერთი, მაგი რო მართალი იყოს, ყველა პარლამენტარი ბარძაყში იქნებოდა გადატეხილი

## ხუმრობენ ქუთაისელი „პიკასოს ბიჭები"

☺

სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები ფიცს საღვთო წიგნზე დებენ: მუსულმანურ სამყაროში ეს წიგნი „ყურანია", ქრისტიანულ ქვეყნებში - „ბიბლია", დღევანდელ საქართველოში კი - „დაჩის ზღაპრები".

☺

შეყვარებული წყვილი ხიდზე დგას. ვაჟი თხოვს ქალს ხელები გაშალოს და თვალები დახუჭოს (ტიტანიკის პოზა), თავად კი ხელს ხვევს და ეკითხება:

- მიფრინავ, ძვირფასო?
- კი
- ჰა, ჰა, ჰა, იალოველი!

☺

ჭიჭიკიამ და ბიჭიკიამ ქუჩაში მიმავალი ორი კაცი დაინახეს. პირველს შავი სათვალე გაეკეთებინა და ხელები ჯიბეში ჩაეწყო, მეორეს კი მისთვის ზურგზე ხელები მიებჯინა და აწვებოდა. გაკვირვებული ჭიჭიკია ბიჭიკიას ეკითხება:



- ვინაა, ბიჭო, ეს სათვალიანი ტიპი?
- ქურდი
- ის მეორე?
- მაგი ქურდობას აწვება.


| გამომცემელი და მთავარი რედაქტორი | რედაქტორთა საბჭო: | რედაქციის მისამართი: | გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში |
| --- | --- | --- | --- |
| ტარიელ ფუტკარაძე | მანანა ტაბიძე (დისკუსია), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება), ეკა დადიანი (მეცნიერება), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები) | ქუთაისი, ჭუჭრაძის 32<br>ტელ: (8-231) 2-16-03<br>(8-22) 22-15-87<br>მობ: (877) 47-69-30<br>ელ. ფოსტა: kuji@posta.ge | №12/5/ე-4818 |